

ანანომ სანაყინეში დახარჯა 15 ლარი, რაც მთელი მისი თანხის მეოთხედს შეადგენდა. დანარჩენი თანხა ანანოს კარუსელებზე და მგზავრობაზე დაეხარჯა. რა თანხა ჰქონია ანანოს თავდაპირველად?

- ა) 30 ლარი ბ) 60 ლარი
 გ) 75 ლარი დ) 90 ლარი

კაფეში ყოველ მაგიდასთან 8 სკამი დგას, სულ კაფეში 96 სკამია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულებით შეიძლება გამოვთვალოთ კაფეში მაგიდების რაოდენობა?


- ა) $8 \cdot 96 = \square$ გ) $8 + \square = 96$
 ბ) $96 - \square = 8$ დ) $96 : 8 = \square$

მოცემულია სამი შესაბამისობა:

- I. ნათიას მუსიკა აქვს ორშაბათს და ხუთშაბათს, ხატვა კი - სამშაბათს და პარასკევს.
 II. ნათიას გაკვეთილების ცხრილში მუსიკა, ხატვა და სპორტი ასეა განაწილებული:

ორშაბათი	მუსიკა
სამშაბათი	ხატვა
ოთხშაბათი	მუსიკა
ხუთშაბათი	ხატვა
პარასკევი	მუსიკა

- III. ნათიას დღიურში საგნები ასე აქვს ჩანიშნული: მუსიკა და ხატვა ასე გამოიყურება სქემაზე:



რომელი შესაბამისობებია ერთი და იგივე? შემოხაზე სწორი პასუხი.

- ა) I და II; ბ) II და III; გ) I და III;

რომელი გამოსახულებით შეიძლება x -ის პოვნა, თუ :
 $491 + x = 1630$

ა) $1630 + 491$

გ) $1630 - 491$

ბ) $1630 : 491$

დ) $1630 \cdot 491$

გამოიანგარიშე და შემოხაზე სწორი პასუხი

$$\begin{array}{r} 6805 \\ - 3726 \\ \hline \end{array}$$

ა) 10531

გ) 3079

ბ) 3179

დ) 3121

შემოხაზე $(25 + 11) \cdot 6$ გამოსახულების ტოლი გამოსახულება.

ა) $25 + 66$

გ) $25 + 116$

ბ) $150 + 11$

დ) $150 + 66$

თუ 70 ლიტრ ღვინოს ჩავასხამთ 3 ლიტრიან ქილებში, მაშინ

ა) დაგვჭირდება მხოლოდ 23 ქილა

ბ) 23 ქილა არ იქნება საკმარისი


გ) გაივსება 23 ქილა და დარჩება კიდევ 1 ლიტრი

დ) გაივსება 24 ქილა

გამოთვალე და პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

$$26576 + 324 =$$

გიორგი ასანთის ღერებით და პლასტელინით აკეთებს კუბის ფორმის მოდელს. ნახატზე ნაჩვენებია მისი დაუმთავრებელი მოდელი:



კიდევ რამდენი ასანთის ღერი სჭირდება გიორგის მოდელის დასასრულებლად?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

ცხრილი შევსებულია პირველ სტრიქონში მოცემული წესის მიხედვით. ცარიელ უჯრაში ჩაწერე შესაბამისი რიცხვი.

X	$35 \cdot X$
5	175
10	350
	525

ცხრილის ყველა სტრიქონი შევსებულია პირველ სტრიქონში მოცემული წესის მიხედვით.

ჩაწერე გამოტოვებული რიცხვი ცარიელ უჯრაში.

X	$2x - 5$
6	7
14	23
	37

მოცემულია ტოლობა :

$$212 \cdot (371 + 29) = 212 \cdot 371 + \boxed{} \cdot 29$$

ცარიელ უჯრაში ჩაწერე საჭირო რიცხვი.

მასწავლებელმა კლასში შეიტანა 38 რვეული. 15 მოსწავლეს მისცა თითო მათემატიკის და ქართულის რვეული, დანარჩენებს კი შეხვდა ორ-ორი მათემატიკის რვეული. რამდენ მოსწავლეს არ მისცა მასწავლებელმა ქართულის რვეული? შეადგინე შესაბამისი გამოსახულება და გამოთვალე მისი მნიშვნელობა.
ამოხსნა დაწერე აქ.

პასუხი:

მალაზიას აქვს აქცია – 10 შეკვრა ლიმონათის ყიდვისას მყიდველს ერთ შეკვრას ჩუქნიან. რამდენი შეკვრა იყიდა კოტემ, თუ მან მალაზიიდან 44 შეკვრა ლიმონათი წამოიღო? პასუხი დაასაბუთე.

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი: